ქ. თბილისი, 30 ივნისი, 2022 წელი

**სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს,**

**ქალბატონ თამარ ფიცხელაურს**

**შპს „გეო ენერჯი“-ს (ს.კ. 405323001, მის: თბილისი,**

**მ. ალექსიძის ქ.#3, ბლოკი ბ, ბინა 65, ტელ: 599 27 04 79)**

**დირექტორის - გიორგი ხარატის**

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

როგორც თქვენთვის ცნობილია, **შპს „გეო ენერჯი (ს.კ.405323001)** ქ. თბილისში, რუსთავის გზატკეცილი #68ა-ში მდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 01.18.13.033.139) გეგმავს ფეროშენადნობების (ფეროსილიკომანგანუმი, ფერომანგანუმი, ფეროქრომი, ფეროსილიციუმი) საწარმოს მოწყობას და ექსპლუატაციას; საწარმოში დაგეგმილია ერთი 7 მეგავატიანი ელექტრორკალური ღუმელის დამონტაჟება, რომლის წარმადობა იქნება 0.97 ტ/სთ.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, შპს „გეო ენერჯი“-ის მიერ გარემოს ეროვნულ სააგენტოში 2022 წლის 14 ივნისს წარმოდგენილი იქნა # 2347 განცხადება ფონიჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე ფეროშენადნობების საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიშის შესახებ; წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით, სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყო ადმინისტრაციული წარმოების დაწყება, მათ შორის ჩაინიშნა საჯარო განხილვა.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ქ. თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით გაცემული წერილი(#16-0122174938), სადაც მითითებულ იქნა რომ საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს ისეთ ფუნქციურ ქვეზონაში (სამრეწველო ზონა 1), სადაც დასაშვებია ისეთი სამრეწველო ობიექტების მშენებლობა, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები და, ასევე შესაძლებელია ს-1-ის ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი შენობების არსებობა არაუმეტეს მიწის ფართობის საერთო ოდენობის 25%-ისა.

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ 2022 წლის 29 ივნისს წერილობით (#21/2995) მომართა შპს „გეო ენერჯი“-ის და გვაცნობა, რომ ქ. თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილის საფუძველზე/განსაზღვრული გარემოებებით, სააგენტო წყვეტს სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, გვინდა გაცნობოთ, რომ:

1) აღნიშნულ საპროექტო ტერიტორიაზე არ წარიმართება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები, რასაც წინასწარ ადასტურებს გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი (სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე ატვირთული) სკოპინგის ანგარიშის შესახებ ინფორმაცია და შპს „გამა კონსალტინგი“-ს (ს.კ. 404889714) მიერ 2022 წლის 01 აპრილს გაცემული #22 წერილი(**იხილეთ დანართი #1);** ასევე, საპროექტო შენობების საერთო მოცულობა არ იქნება საპროექტო მიწის ნაკვეთის საერთო ფართობის 25%-ზე მეტი(**იხილეთ დანართი #2 – არქიტექტორის განმარტებითი ბარათი);**
2) ზემოაღნიშნულ საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებული შენობების გაბარიტები(სიმაღლე) არ აღემატება თვითმფრინავების ასაფრენი ზოლის შეზღუდვის არეალისთვის განსაზღვრულ დადგენილ სტანდარტს, რის შესახებაც საკითხს შევათანხმებთ და უახლოეს დღეებში წარმოგიდგენთ შპს „ტავ ურბან საქართველოსგან“.
3) ზემოაღნიშნულ საპროექტო ტერიტორიაზე ფეროშენადნობი საწარმოს მშენებლობის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების თაობაზე, სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს დადებითი სამსახურებრივი პოზიციით წერილობით მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურმა, სადაც აღნიშნა, რომ არქიტექტურის სამსახური არ არის წინააღმდეგი კანომდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნათა დაცვით ზემოაღნიშნულ საპროექტო ტერიტორიაზე გაიცეს ფეროშენადნობი საწარმოს მშენებლობისთვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები(**იხილეთ დანართი #3).** ხოლო არქიტექტურის სამსახურის აღნიშნული წერილის შემდეგ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტომ 2022 წლის 15 ივნისს გამოსცა #98-04 ბრძანება „ქ. თბილისში, რუსთავის გზატკეცილი #68ა-ში, ფერადი ლითონის (ფეროშენადნობი) ჩამოსხმის საწარმოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცემის შესახებ“, რითაც დაადასტურა ზემოაღნიშნულ საპროექტო ტერიტორიაზე ფეროშენადნობი საწარმოს მშენებლობის მიზანშეწონილობა(**იხილეთ დანართი #4).**

ყოველივე ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, გთხოვთ დაიწყოთ/განაახლოთ ადმინისტრაციული წარმოება შპს „გეო ენერჯი“-ის მიერ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

**პატივისცემით, შპს „გეო ენერჯი“-ს დირექტორი, გიორგი ხარატი**